პროექტის განმარტება

პროექტი № 4384-1 დამუშავდა ტექნიკური დავალება № T-6/42-ის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში ჩუღურეთისა და ნაძალადევის რ-ში მდებარე ს/ჯ-ებს № 6550—6021 და № 6550—1318 შორის დამაკავშირებელი ელ. მომარაგების მ/ძ-ის (6კვ) ამორტიზებული მიწისქვეშა საკაბელო ქსელების შეცვლას.

ს/ჯ № 1318-ის მ/ძ-ის ნაკვეთურში სასურველია შესრულდეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რისთვისაც აღებული იქნას გამოშენებული კაპიტალური კედელი 0,4 კვ. – 6კვ. ძაბვების ნაკვეთურებს შორის, მოეწყოს მ/ძ-ის საკაბელო ქსელისათვის საკაბელო არხი ს/ჯ-ის შესასვლელი კარების მარჯვენა მხარეს კედლის გასწვრივ 0,4 კვ. ძაბვის ნაკვეთურის გავლით. მ/ძ-ის ნაკვეთურში დაიდგას 2ც. შემავალი KCO399-03106Y3 და ძალ. ტრანსფორმატორის ჩამრთველი KCO399-04062Y3 (ან მათი ანალოგი) მ/ძ-ის უჯრედები სიმძლავრის გამთიშველებით.

უჯრედების კორპუსები შეერთდეს ყრუდ ს/ჯ-ის დამიწების კონტურზე. საკაბელო არხები დაიხუროს დაღარული ფოლადის ფურცლოვანით.

გაითხაროს საკაბელო ტრანშეი ს/ჯ № 6550-დან ორი კაბელისათვის პოზიცია №1-მდე; მარუაშვილის ქ-ის გადაკვეთაში, ტროტუარზე, სამანქანო გზის გვერდულზე, სამშვილდოს, ტყეკულტურის ქ –ის გვერდულზე, ერთი კაბელისათვის ხუდადოვის ქ-ის გადაკვეთაში, მ. მესხის ქ-ის გვერდულზე ს/ჯ № 1318-მდე. პოზიცია №1-დან გაითხაროს საკაბელო ტრანშეი მეორე კაბელისათვის ტყეკულტურის ქ-ის გვერდულზე ს/ჯ № 6021-ის მ/ძ-ის ნაკვეთურამდე. მიწისქვეშა კომუნიკაციების და სამანქანო გზის გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც შემდგომ გატარდეს სამონტაჟო ძალოვანი კაბელი, მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, ჩაიდოს 2ც. ძალოვანი კაბელი NA2XSEY2(3*150RM/25)mm2 კვეთის ს/ჯ № 6550-დან პოზიცია № 1-მდე და აქედან გაგრძელდეს თითო კაბელი ს/ჯ № 1318-მდე და ს/ჯ № 6021-მდე.

ასფალტირებული სამანქანო გზების გადაკვეთა შესრულდეს გვირაბული მეთოდით „კროტის" გამოყენებით.

ს/ჯ № 1318-კენ მიმავალი კაბელი საყრდენ კედელზე – პოზიცია №1-თან გატარდეს ფოლადის დამცავ მილში, რომლისთვისაც მოეწყოს სტაციონალური დამიწების კონტური, რომლის წინაღობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ომს.

ჩადებულ კაბელებს მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ქვიშა-ხრეში–დაიტკეპნოს, დაედოს პოლიეთილენის სასიგნალო გამაფრთხილებელი ლენტი, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, სამანქანო გზების კვეთაში დაეყაროს ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი. კაბელები ერთმანეთზე გადაიბას ქუროების POLJ 12/3x120-240 (ან ანალოგი) საშუალებით.

ს/ჯ № 6550-ს, № 1318-სა და ს/ჯ № 6021-ის მ/ძ-ის ნაკვეთურებში არსებული უჯრედებიდან გამოიხსნას ამორტიზებული კაბელები, ახალ ჩადებულ კაბელებს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები და შეერთდეს უჯრედებში გამოხსნილი კაბელების ადგილებზე.

სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოების დროს ამოღებული გრუნტი გატანილი იქნას აღნიშნული ტერიტორიიდან.

სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ-ს და СНиП–ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.